



შპს "ველფარ ინთერნეიშენალ"-ის
დირექტორს ანარ გასიმოვი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ბატონო ანარ, მე ჯამბულ გაგოშვილი, შპს აუდიტორული ფირმა "ირმა"-ს გარიგების პარტნიორი/აუდიტორი ვადასტურებ, რომ პასუხისმგებელი ვარ ჩვენს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებულ და შესრულებულ პროცედურებზე, რომელიც ეხებოდა შპს "ველფარ ინთერნეიშენალ"-ის 2017 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტორულ შემოწმებას.

ვადიარებთ პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს დამოუკიდებლობის შესახებ და ვადასტურებთ, რომ ჩვენი აუდიტორული ფირმა და მისი ყველა თანამშრომელი იცავს IFAC-ის ქცევის კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით

შპს აუდიტორული ფირმა "ირმა"
გარიგების პარტნიორი/აუდიტორი
ჯ. გაგოშვილი





შპს აუდიტორული ფირმა „ირმა“

Auditing Firm "IRMA" Ltd.

სერტიფიკატი №6/007 თბილისი, ვ. ფშაველას №16 ტელ/ Tel.: 233 44 60; 555 208 737

CERTIFICATE ZN6/007 Tbilisi, V. Pshavela St. №16 E-Mail: irma.auditor@mail.ru
jaba.gago@mail.ru

№ 14/1-018

28.09. 2018 წ

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ველფარ ინთერნეიშენალ“-ის ხელმძღვანელებს და მენეჯმენტს

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ველფარ ინთერნეიშენალ“-ის (შემდგომი კომპანია) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2017 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ინდივიდუალური სრული შემოსავლის, საკუთარ კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისაგან.

ჩვენ აგრეთვე დავგეგმეთ ბუღალტრული აღრიცხვის და საფინანსო ანგარიშგების შედგენის მართლზომიერების და მეთოდოლოგიურად სწორედ წარმართვის საკითხების შემოწმება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსურ ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. პასუხისმგებელია ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს, ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ მოიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა აღნიშნული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არსებითი უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების საფუძველზე მტკიცებულებების მოპოვებას ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებასი მოცემული თანხებისა და ინფორმაციის დადასტურების მიზნით. შერჩეული პროცედურები ეფუძნება აუდიტორის მსჯელობას, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად გამოწვეული უზუსტობების რისკის შეფასებას. აღნიშნული



რისკების შეფასებისას აუდიტორი განიხილავს კომპანიის შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შესაბამისია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენასთან. მის საფუძველზე აუდიტორი გეგმავს შესაბამის აუდიტორულ პროცედურებს, მაგრამ არ გამოხატავს თავის მოსაზრებას კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობის შესახებ. უდიტი აგრეთვე გულისხმობს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებების სისწორის შეფასებას. აგრეთვე წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მთლიანად შეფასებას.

პირობითი მოსაზრების საფუძველი:

1. კომპანიის 2017 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში დაფიქსირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ამსახველი თანხები დადასტურებულია შედარების აქტებით, მაგრამ დადასტურება წარმოდგენილია მხოლოდ დიდ, არსებით თანხებზე. აღნიშნული არ ახდენს ზეგავლენას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.
2. კომპანიის 2017 წლის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულია თანხობრივი უზუსტობა გაუნაწილებელ მოგების მაჩვენებელ თანხებს შორის ბალანსის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ფორმებს შორის 918.0 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა არ ახდენს არავითარ ზეგავლენას ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსატქმელად და გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის გასაცემად.

დასკვნა

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს "ველფარ ინთერნეიშენალ"-ის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

შპს აუდიტორული ფირმა "ირმა"
გარიგების პარტნიორი/აუდიტორი
ჯ. გაგოშვილი



წინამდებარე ანგარიშის მიზანია, განასხვავოს ერთმანეთისგან მენეჯმენტისა და დამოუკიდებელი აუდიტორის პასუხისმგებლობები, შპს "ველფარ ინთერნეიშენალ"-ს (შემდეგში კომპანია) ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მათ მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ბასს-ების) შესაბამისად.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია:

- ამოირჩიოს შესაფერისი სააღრიცხვო პრინციპები და შესაბამისად გამოიყენოს ისინი;
- მოახდინოს წინდახედული და არსებითი შეფასებები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, განაცხადოს ნებისმიერი არსებული დარღვევების შესახებ და ახსნას ის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში;
- მოამზადოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოების უწყვეტობის პრინციპზე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას შესწევს უნარყ გააგრძელოს თავისი საქმიანობა მომავალში.

მენეჯმენტი ასევე პასუხისმგებელია:

- შექმნას, განახორციელოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური და ხარისხიანი სისტემა კომპანიაში;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც, წარმოადგენს და ხსნის კომპანიისგარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ბასს-ის მოთხოვნებთან ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- გადადგას ისეთი ნაბიჯები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მათ დაიცვას კომპანიის აქტივები;
- აღმოფხვრას სხვადასხვა დარღვევები.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, დამტკიცებულია მენეჯმენტის მხრიდან 2018 წლის 17 მაისს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი





ს ა წ ა რ მ ო ს ბ ა ლ ა ნ ს ი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება - ველფარ ინთერნეიშენალ

სამართლებრივი ფორმა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

იურიდიული მისამართი - ქ.ფოთი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.
მიწის ნაკვეთის შიდა ნომერი 1D5/G

დარგი (საქმიანობის სახე) - ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობა

აქტივი		კოდი (სტრიქ.)	წლის დასაწყისში	საანბარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე აქტივები				
არარეზიდენტები მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან		010	44515945	61929182
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში		020	726	944
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში		030	510	34245
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		040	932538	1860338
წინასწარ გაწეული ხარჯი		050	555774	347397
		060		
		070		
		080		
		090		
სულ მიმდინარე აქტივები		100	46005493	64172106
სასაქონლო მატერიალური მარაგი				
საქონელი		110	4298842	4411735
სხვა საწარმოო მარაგი		120	4	4
		130		
		140		
		150		
		160		
		170		
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		180	4298846	4411739
გრძელვადიანი აქტივი				
ოფისის აღჭურვილობა		190	32203	25465
ავეჯი და სხვა ინვენტარი		200	2734	2329
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა		210	73208	62227
		220		
		230		
		240		
		250		
		260		
		270		
		280		
		290		
სულ გრძელვადიანი აქტივები		300	108145	90021
ბალანსი			50412484	68673866

პასივი		კოდი (სტრიქ.)	წლის დასაწყისში	საანგარიშო პერიოდის ბოლოს
მიმდინარე ვალდებულებები				
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები		310	799	1339
არარეზიდენტის ვალდებულებები		320	3679155	4341353
გადასახდელი ხელფასები		330	863	863
მოკლევადიანი სესხები		340	27843	29296
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე წილი		350	10235	0
გადასახდელი მოგების გადასახადი		360	6735	11898
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		370	10	28
გადასახდელი პროცენტები		380	278873	332703
მიღებული ავანსი		390	60496	599222
		400		
		410		
		420		
		430		
		440		
სულ მიმდინარე ვალდებულებები		450	4065009	5316702
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		470	1417828	1474367
		480		
		490		
		491		
		500		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		510	1417828	1474367
საკუთარი კაპიტალი				
		520		
გაუნაწილებელი მოგება		530	44929647	61882797
		540		
		550		
დაუფარავი ზარალი*		560		
სულ საკუთარი კაპიტალი		570	44929647	61882797
ბალანსი			50412484	68673866

დირექტორი:

მთავარი ბუღალტერი:



მოგება---ზარალის წლიური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საფირმო სახელწოდება : ველფარ ინტერნეშენალ

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

იურიდიული მისამართი: ქ.ფოთი. თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.მიწის ნაკვეთის შიდა ნომერი 1D5/G

დარგი (საქმიანობის სახე): ფარმაცევტული პროდუქციით ვაჭრობა

ლარებში

მაჩვენებლის დასახელება	კოდი (სტრ-ნი)	შემოსავლები	ხარჯები
ამონაგები	010	40,098,823	
რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) თვითღირებულება	020	X	13,226,023
საერთო მოგება (ზარალი)	030	26,872,800	
კომერციული ხარჯები	040	X	1,044,118
ადმინისტრაციული ხარჯები	050	X	1,580,878
სხვა საწარმოო შემოსავლები	060		X
სხვა საწარმოო ხარჯები	070	X	79,746
ფინანსური დანახარჯები	080	X	124,653
შემოსავლები ფინანსური დაბანდებებიდან და პროცენტებიდან	090		X
მოგება (ზარალი) ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობიდან	100	24,043,405	
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	110	9,396,565	X
გაუთვალისწინებელი ხარჯები	120	X	10,054,771
წინა წლების აკუმულირებული ზარალის გადაფარვა	121	X	
მოგება დაბეგვრამდე	130	23,385,199	X
მათ შორის დასაბეგრი 4%	130	2,866,200	
მოგების გადასახადი	140	X	114,648
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	150	23,270,551	X

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შ.პ.ს ველფარ ინტერნეშნალ

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2017 წელი

მუხლების დასახელება	საწესდებო კაპიტალი	მოგება	ზარალი	სარეზერვო კაპიტალი
	5150	5310	5320	5410
ნაშთი წლის დასაწყისისათვის		44929647		
შემოსავალი სულ		23270551		
მოგების განაწილებით				
პარტნიორთა შენატანებით (საპაიო და სხვა).				
დანარჩენი შემოსავალი				
მიღებულია რეორგანიზაციით				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
ზარალის დაფარვა				
დაუბრუნდა პარტნიორებს (მეპაიეებს)				
გადატანილია რეორგანიზაციით				
ძირითადი საშუალებების გადაფასებით				
დანარჩენი გასავალი		6316483		
ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოს		61883715		

დირექტორი:

ბუღალტერი:



შ.პ.ს. ველფარ ინტერნეშნალ

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2017 წლისათვის

(ლარებში)

№	მაჩვენებლები	თანხა
I	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	8212010
II	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები სააგარიშო პერიოდის დასაწყისში	933775
I.2	მყიდველებიდან მიღებული ფულადი სახსრები	20684977
I.3	მიმწოდებელსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	14330887
I.4	გადახდილი პროცენტები	73240
I.5	გადახდილი გადასახადები	251900
1.6	გაუთვალისწინებელი შემოსავლები	1249285
1.7	გაუთვალისწინებელი ხარჯები	
	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	
2	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
2.1	შვილობილი საწარმოს შეძენა ფულადი სახსრების გამოკლებით	
2.2	ძირითადი საშუალებების შეძენა	
2.3	ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი	
2.4	მიღებული პროცენტები	
2.5	გადახდილი პროცენტები	
2.6	მიღებული დივიდენდები	
	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	
3	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	6316483
3.1	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	
3.2	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	
3.3	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განადღება	
3.4	გადახდილი დივიდენდები	6316483
4	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	
4.1.	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები სააგარიშო პერიოდის ბოლოს	1895527
4.2.	ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	961752

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



შ.პ.ს ველფარ ინტერნეშნალ
დებიტორული დავალიანება -- 2017 წელი

№	ორგანიზაცია	ნაშთი 01.01.2017 წელს	დებეტი	კრედიტი	ნაშთი 01.01.2018 წელს
1	WELFAR LLC HILOLI STR GISSAR, TAJIKISTAN	1250855.18	1232396.26	510144.36	1973107.08
2	VELFARM STAR TRADE LLC TASHKENT, UZBEKISTAN	28714402.74	14143038.1	9708675.41	33148765.43
3	DITA ESTFARM LTD MOLDOVA	60752.52	8742.86	9996.1	59499.28
4	VELGA LTD BAKU AZERBAIJAN	567415.88	29913.45	828751.82	-231422.49
5	WELFAR KR ბიშკეკი, ყირგიზეთი	1970254.18	661068.46	1234964.43	1396358.21
6	KELES-JUN LLC-68 OQIBAT STR. უზბეკეთი, ტაშკენტი	236083.96	33974.75	38844.85	231213.86
7	შპს ველფარ ჯეო	1616472.09	1980705.18	1477862.41	2119314.86
8	შპს ელ კომპანი	129894.36	14649.6	78764.29	65779.67
9	შპს ემბრიონი-2010	218130.01	3200.55	221167.95	162.61
10	ICS FARMINA SRL მოლდოვა, ჩისინაუ	295930.14	2403.79	297999.1	334.83
11	INDIVIDUAL ENTERPR. COMPANY "TEBIB", აშხაბადი, თურქმენისტანი	3097223.29	46404.94	1220902.61	1922725.62
12	INKAR, ყაზახისტანი	863477.5	4800938.38	4354409.87	1310006.01
13	AMANAT LLC, ყარაგანდა, ყაზახისტანი	163142.14	1125677.78	1176706.31	112113.61
14	KPC MEDSERVICE PLUS LLC, ალმაატა, ყაზახისტანი	908535.72	6011065.93	4206131.59	2713470.06
15	TREKA-2009 LTD, ბაქო, აზერბაიჯან	9351.89	0	192.92	9158.97
16	MADAD PHARM LLC, ტაჯიკეთი	206552.59	0	146080.17	60472.42
17	MEDICUS CENTRE LLC, ყაზახეთი	375314.57	0	368926.82	6387.75
18	ALMASAT LTD, ალმაატა, ყაზახისტანი	33.09	0	0.69	32.4
19	AMOFARM, მოლდოვა	232457.49	0	202411.2	30046.29
20	WELFAR PHARMACEUTICALS S.R.L	1130045.81	325514.13	455967.34	999592.6
21	WELFAR PHARMACEUTICALS S.R.L	0	316114.22	0	316114.22
22	"ALOE-SOF" LTD, უზბეკეთი	0	0	0	0
23	HK "HAZAR OKS" აშხაბად თურქმენეთი	100206.18	2119674.43	457182.23	1762698.38
24	ZAO CELESTINA. VILNIUS, LITVA	14985.12	2156.5	2465.62	14676
25	ATAMIRAS .S LTD KAZAKHSTAN	97.93	35414.09	35512.02	0
26	შპს პსპ ფარმასი	8163.6	2046.15	1139.22	9070.53
27	DEMO SA PARMACEUTICAL INDUSTRY	2004.69	502.45	279.75	2227.39
28	AMEX LLC . BAKU AZERBAIJAN	2259862.8	4173548.84	1937882.77	4495528.87
29	AMITY INTERNATIONAL LLP . ALMAATY, ყაზახეთი	67337.77	129596.08	196933.85	0
30	EFAS LLC ბაქო, აზერბაიჯან	8099.21	1165.56	1332.63	7932.14
31	შპს ოქსიგენი	8093.44	718015.37	423633.47	302475.34
32	ABA-JAN. ASHGABAD. TURKMENISTAN	0	2177705.18	154802.86	2022902.32
33	PROFIT PHARM LLC GENERAL KARBYSHEV BOULEVARD HOUSE OF 8, P4 რუსეთი	0	763856.11	296871.14	466984.97
34	KESHAL LLC BAKU AZERBAIJAN	0	142163.33	8797.75	133365.58
35	BECOR SRL. MUN. CHISINAU.CALEA.ORCHIEIULUI 111/	0	224011.6	224011.6	0
36	BECOR SRL. MUN. CHISINAU.CALEA.ORCHIEIULUI 111/	0	407179.65	407179.65	0
37	HK "HEBELEK" აშხაბად, თურქმენეთი	0	5386668.59	309063.37	5077605.22
38	AZBIOTEKSTIL LTD A. AGAAGLU STREET BAKU, AZERBAIJAN	0	522923.35	136879.96	386043.39
39	PHARMARIS LLC (თიზი)	0	469381.23	0	469381.23
40	RAUZA-ADE LTD, ყაზახეთი	768.84	305448.32	311131.53	
41	HELBA PAZARLAMA VE DIS TICARET LIMITED SIRKETI INSTANBUL, TURKY	0	122661.3	122661.3	0
42	EMCURE PHARMACEUTICALS LTD ინდოეთი	59553	181526.69	200505.28	40574.41
43	BIOCODEX,	285861.4	237443.11	527828.86	
44	WELFAR HEALTHCARE LIMITED COMPANI TMS HOUSE, CRAY AVENUE ORPINGTON BRS 3QB ENGLAND, დიდი ბრიტანეთი	52936	185135.5	262234.87	
45	BION CORPORATION LTD SOLAR HOUSE, 282 CHASE ROAD ლონდონი, დიდი ბრიტანეთი	25.14	186150.36	78617.22	107558.28
46	WELFAR PHARMACEUTICALS SRL CHISINAU MOLDOV	176284.8	0	3357.9	172926.9
47	JANA MELHEM IE	29603.83	0	29603.83	0
48	ANFARM HELLAS S.A.	17865.9	171433.56	76982.27	112317.19
49	DENVER FARMA S.A. NATALIOQUERIDO 2285-B1605CYC MUNRO-BUENIS AIRES ARGENTINA	109127.56	138397.16	247524.72	0
50	შპს მედიკალტექნოლოგი	705	0	705	0
51	AKTYUBPHARMCENTRE LTD, ყაზახეთი	0	55456.52	55456.52	0
52	HELBA ILAC IC .VE.DIS.SAN.TIC -თურქეთი	96.37	2016974.18	1930123.21	86947.34
53		45248003.73	51612443.59	34979600.64	61914448.77

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:




შ.პ.ს ველფარ ინტერნეშნალ
კრედიტორული დავალიანება - 2017 წ

№	კრედიტორი	ნაშთი 01.01.2017წ ელი	კრედიტი	დებეტი	ნაშთი 01.01.2018წ ელი
1	SONATA HOLDING LLC უზბეკეთი	-1.32	0	0.2	-1.3
2	AK NIET LLC BAITULY BABA STREET SHYMKENT, KAZAKHISTAN	-766.51	110.32	126.11	-750.72
3	PHARMEX HEALTHCARE PRODUCTS LTD (თიზის საწარმო რუსიმა)	-59730.65	8595.81	9827.99	-58498.47
4	შპს "ირიდა"	0	17535.26	17285.26	-250
5	შპს დისკვერი	-724	0	0	-724
6	შპს ექსპრეს ფოსტა 96	-75	610	685	0
7	შპს ევრო პაკი	0	3039	2674	-365
8					
9	WELFAR ILAC TICARET LIMITED Sirketi-თურქეთი	-6738.96	0	139.01	-6599.95
10	WELFAR UNITED LIMITED SUIT 2 დიდი ბრიტანეთი	-1031519.9	200799.18	543595.34	-688723.74
11	OOO AVVA RUS RUSSIA	-0.09	131652.26	131652.25	-0.1
12	DEMO SA PHARMACEUTICAL INDUSTRY	-1410373.4	7533337.27	6869516.8	-2074193.87
13	შპს ველფარ ჯეო	-184140.95	170565.42	3529.99	-351176.38
14	ALET PHARMACEUTICALS SA. ათენი საბერძნეთი	-32912.76	209611.57	196623.91	-45900.42
15	MEDEXPORT ITALIA , VIA ALCIDE DE GASPERI .რომი იტალია	-279400	1174987.88	1235252.01	-219135.87
16	BIOCODEX,	-722972.68	527828.86	237443.11	-4524.35
17	SPESEFAR SA ATHENS		9429.03	14363.04	-718038.67
18	vira sped ulusralasi nakliati asentelikleri hizmetleri tic/ltid sti/instanbul	-3282.95	364.72	0	-3647.67
19	MONTEFARMACO OTC, ITALY	0	323261.92	220016	-103245.92
20	WELFAR HEALTHCARE LIMITED COMPANI TMS HOUSE, GRAY AVENUE ORPINGTON BRS 3QB ENGLAND, დიდი ბრიტანეთი		262234.87	185135.5	-24163.37
21	Vital Healthcare	0	33073.07	33073.07	0
22	CROSSPARK LINES LLP	-199470.79	0	3514.01	-195956.78
23	PHARMATEN S. A.-საბერძნეთი	-7812.98	42527.08	0	-50340.06
24	CHANELLE MEDICAL -IDA INDUST. DUBLIN ROAD LOUGHREA.CO.GALWAY, IRLAND	0	51662.55	0	-51662.55
25	CERTUS PHARMA	0	0	0	0
	RAUZA-ADE LTD, ყაზახეთი	0	305448.32	311131.53	-4914.37
		-3939922.94	11006674.39	10015584.13	-4602813.56

სულ:

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:



1. ძირითადი საქმიანობა

შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ დაფუძნდა 2014 წლის 24 აპრილს, მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რეგისტრაციის იურიდიული და ფაქტიური მისამართი საქართველო, ქ. ფოთი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, (ნავსადგურის ყოფილი ექსტენსიური განვითარების ზონა), მიწის ნაკვეთის შიდა ნომერი 1D-5/G. ორგანიზაციის 100 %-იანი დამფუძნებელი ვაჟადარ ჰასანოვი (P4910483).

შპს „ველფარ ინთერნეიშენალი“ განეკუთვნება თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების ექსპორტი და იმპორტი, საბითუმო ვაჭრობა.

2. ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2014 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

✓ შესწორებები ბასს 32-ში – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა.

ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთ ჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, კერძოდ, შესწორება გვიხსნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”. აღნიშნული შესწორებები კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებზე არ მოქმედებს, რადგან კომპანიას ურთიერთჩათვლელი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

✓ შესწორებები ბასს 36-ში – ამოღებული ღირებულების განმარტება არაფინანსური აქტივებისათვის. ბასს 36-ის შესწორებით აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ამოღებული ღირებულების განმარტების ვალდებულება შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომლის დროსაც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარება ან გაუქმება. გარდა ამისა, ეს შესწორება აფართოვებს და განსაზღვრავს განმარტების იმ მოთხოვნას, რომელიც ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტივის ან ფულის გამომმუშავებელი ერთეულის ამოღებული ოდენობა რეალური ღირებულების საფუძველზე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ახლად დადგენილი განმარტებები მოიცავს რეალურ ღირებულებათა იერარქიას, ძირითად დაშვებებსა და შეფასების ტექნიკას, რაც ფასს 13 “რეალური ღირებულების განსაზღვრა” სტანდარტით გათვალისწინებულ განმარტებებს შეესაბამება.

✓ ბასსიკ 21 – მოსაკრებლები – ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება ხელისუფლების მიერ დაწესებულ ყველა გადასახადზე, გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც ბასს 12-ის კომპეტენციის სფეროა და კანონდარდევებისათვის გათვალისწინებულ ჯარიმებსა და საურავებს. ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ მოსაკრებლის გადასახადის ვალდებულების აღიარება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც მავალდებულებელი მოვლენა დამდგარია. ინტერპრეტაცია გვაძლევს განმარტებას იმაზეც, როგორ უნდა განისაზღვროს, უნდა მოხდეს თუ არა ვალდებულების აღიარება პროგრესულად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში თუ სრულად კონკრეტულ დღეს, მოცემულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ინტერპრეტაციას რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია. კომპანიას ვადაძლე არ მიუღია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა.

✓ ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლისმაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15-მა ჩაანაცვლა შემოსავლის აღიარების არსებული პრინციპი, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებული ინტერპრეტაციები.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტების იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ბასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო ღირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოვიდა შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენება არ ახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას.

✓ ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები. 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კვალიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა პეჯირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მოლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ბასს 9-მ ჩაანაცვლა ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ბასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვა. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით. კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანია საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრება და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრული შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს – მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების

შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალ და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები აისახოს.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და გაზომვა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავალში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. აუფასურება ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. შესაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.

ჰეჯირების აღრიცხვა. შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის სის ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. არდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

აღიარების შეწყვეტა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვრიდან. დასაშვებია მისი ვადამდე ადრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვა და სხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვა და სხვა დროს.

კომპანიის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

შესწორება ბასს 16-სა და ბასს 38-ში – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება. ბასს 16-ის შესწორება მეწარმეს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას შემოსავლის საფუძველზე. ბასს 38-ის შესწორებას შემოაქვს გაბათილებადი ვარაუდი, რომ შემოსავალი არ წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის სათანადო საფუძველს. ს ვარაუდი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, როდესაც არამატერიალური აქტივი გამოხატულია, როგორც შემოსავლის ზომა ან მაშინ, როდესაც შეიძლება ჩვენება, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ერთმანეთთან ახლო კორელაციაში.

ეს შესწორება ძალაში შევიდა პროსპექტიულად და მოიცავს 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს.

ამჟამად კომპანია ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს ცვეთასა და ამორტიზაციას არიცხავს წრფივი მეთოდით. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედებამ არ მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. წარდგენის საფუძველი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ დამტკიცებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ“) მიერ გამოცემული ინტერპრეტაციის შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას;
- კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას;
- ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

ფინანსური ანგარიშგება შედგენილია შემდეგი ძირითადი სააღრიცხვო პრინციპების დაცვით:

- ფუნქციონირებადი საწარმო;
- დარიცხვის პრინციპი;
- წარდგენის უცვლელობა;
- არსებითობა;

საანგარიშო პერიოდი:

კომპანიის საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს , 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

4.1. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარება ხდება გარიგების თარიღის მდგომარეობით.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიან ღირებულებას პლუს , თუ ფინანსური აქტივი ან ვალდებულება არ არის სამართლიანად ასახული მოგება-ზარალის გატარებით, ის დანახარჯები რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ფინანსურ აქტივთან და ვალდებულებასთან დაკავშირებულ გარიგებას.

4.2. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს მიმდინარე საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთებს და ნაღდ ფულს სალაროში.

4.3. დებიტორები

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება საქონლის მიწოდების შედეგად წარმოქმნილი თანხით, რომელთა გადახდა რეგულირდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ვადების შესაბამისად. დებიტორების ძირითად ნაწილს წარმოადგენენ არარეზიდენტი იურიდიული პირები.

4.4. ძირითადი საშუალება და ცვეთა

ძირითადი საშუალება მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს თანხას, რომელიც გაწეულია ამ აქტივების შეძენაზე. შემდგომი ხარჯები აისახება აქტივის შესაბამის მუხლებში. ორგანიზაციის ბალანსზე არსებულ მატერიალურ აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

3.5. კრედიტორული დავალიანება

კომპანიის ბალანსზე არსებული კრედიტორული დავალიანება წარმოიქმნება არარეზიდენტი კომპანიებისგან საქონლის შესყიდვის შემდგომ. დავალიანება აღიარდება კომპანიის მიერ საქონლის მიღების დღეს. გადახდის პირობა რეგულირდება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ინდივიდუალური პირობებით. ვინაიდან მომწოდებლები არარეზიდენტი იურიდიული პირები არიან კრედიტორული დავალიანების ციფრი კონკრეტული თარიღისათვის დროში შეიძლება იყოს განსხვავებული, როგორც ავლნიშნეთ კომპანიის მიერ კრედიტორული დავალიანების აღიარება ხდება საქონლის მიღების დღეს.

4.6. სესხი

კომპანიას აქვს სესხი კომპანიის დირექტორის და არარეზიდენტი კომპანიის წინაშე. სესხზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველთვიურად.

4.7. კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს საკუთარ კაპიტალს და გაუნაწილებელ რეზერვებს. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის.

4.8. მოგების გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია მოგების გადასახადისგან.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო (შემდგომში – თიზ-ის საწარმო)

ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირისათვის (გარდა თიზ-ის საწარმოსი) საქონლის მიწოდების შემთხვევაში გადაიხადოს საქონლის

მიწოდებით მიღებული/მისაღები შემოსავლის (საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებისას – ამ საქონლის საბაზრო ფასის) 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული პირის მიერ (გარდა თიზ-ის საწარმოსი) თიზ-ის საწარმოსთვის საქონლის (გარდა ადგილზე მოხმარებისათვის ან/და წარმოებისათვის განკუთვნილი ელექტროენერგიისა, წყლისა და ბუნებრივი აირისა) მიწოდებისას თიზ-ის საწარმო ვალდებულია გადაიხადოს მიწოდებული საქონლის საბაზრო ფასის 4 პროცენტი არაუგვიანეს საქონლის მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

4.9. ქონების ა გადასახადი

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია ქონების გადასახადისგან.

4.10 თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმო განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში თიზ-ის საწარმოდან მიღებული დივიდენდი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდის მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება.

არარეზიდენტის მიერ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას საქართველოში დაბეგვრილია, დეკლარაციები შევსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის დაცვით და საგადასახადო ინსპექციაში წარგენილია დროულად.

4.11. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება -ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

4.12. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

4.13. ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც კომპანიას წრმოექმება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი	31დეკემბერი
	2016	2017
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6468	2.5922
ლარი/1 ევრო	2.7940	3.1044

შპს "ველფარ ინთერნეიშენალ"
 ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისათვის (ლარებში)

	31დეკემბერი 2016	31დეკემბერი 2017
შენიშვნა- 3.2 ფულადი სახსრები		
ნაღდი ფული	726	944
ეროვნული ვალუტა	510	34,245
რეზიდენტ ბანკში უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	932,538	1,860,338
სულ ფულადი სახსრები	933,774	1,895,527

	31დეკემბერი 2016	31დეკემბერი 2017
შენიშვნა- 3.3 დებიტორები		
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	44,515,945	61,929,182
ჯამურად დებიტორული დავალიანება	44,515,945	61,929,182

	31დეკემბერი 2016	31დეკემბერი 2017
შენიშვნა- 3.5 კრედიტორები		
მოწოდებიდან დამომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და მომსახურებიდან	799	1,339
არარეზიდენტის მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3,679,155	4,341,353
ჯამურად კრედიტორული დავალიანება	3,679,954	4,342,692

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
“ველფარ ინტერნეიშენალი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
მომზადებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შინაარსი:

აუდიტორის დამოუკიდებლობის დეკლარაცია
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება / ბალანსი
ინდივიდუალური სრული შემოსავლის ანგარიშგება
ინდივიდუალური ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ძირითად საქმიანობის შესახებ ზოგადი ინფორმაცია
2. ახალი ფას-ების მიღება
3. წარდგენის საფუძველი. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველები
4. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა
 - ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება
 - ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
 - დებიტორები
 - ძირითადი საშუალებები და ცვეთა
 - კრედიტორული დავალიანება
 - მიღებული სესხები
 - კაპიტალი
 - მოგების გადასახადი
 - ქონების გადასახადი
 - თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოს საგადასახადო ანგარიშგება
 - უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები
 - შემოსავლები
 - ხარჯები
 - ვალუტის გაცვლითი კურსი



შპს “ველფარ ინთერნეიშენალ“-ის
დირექტორს ანარ გასიმოვი

დამოუკიდებლობის დეკლარაცია

